ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 80

"2" სექტემბერი 2014 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ქინძმარაულის ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული ჩიხისთვის ალექსანდროულის სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის პ/ქვეპუნქტის და „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2011 წლის 27 მაისის №6-27 გადაწყვეტილების თანახმად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) სამგორის რაიონში ქინძმარაულის ქუჩის მონაკვეთს და მასთან არსებულ ჩიხს მიენიჭოს ალექსანდროულის სახელი თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ ორი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ დადგენილების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

Y_ 4613079.5895
X_491849.0394
Y_ 4613001.4639
X_491926.7782
Y_ 4612959.2383
I ხიბი
X_491827.0507
Y_ 4612943.6795